ოქმი:**ო02. 3726134001**

თარიღი:**14/05/2026**

ოქმი №9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 14 მაისი

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. გობრონიძე, გ. გაბისიანი, ტ. აროშიძე, დ. კიკვაძე, ნ. ჭანიშვილი, მ. ცქვიტიშვილი, დ. ხურციძე, ზ. სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წაროდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა ქ. ოზურგეთში ოთხი ქუჩის რეაბილიტაციას, კონკრეტული ქუჩები, სადაც მოხდება ორფენოვანი ასფალტის და სხვა კომუნკაციების მშენებლობა დაასახელა თანამომხსენებლმა თ. ჩავლეშვილმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მოიწონეს ოზურგეთის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარესე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი